პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ივლისი, სამშაბათი, 1986 წ.
№ 146 (9307) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება

26 ივლისს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომლის მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თ. გ. ლეკიშვილი, თბილისის წინდის საწარმოო გაერთიანების „კრწანისის" მოტორისტი მკერავი ნ. მ. პანკოვა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ზ. მაყაშვილი, გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის" თავმჯდომარე ი. ჰ. ტარკილი, საქართველოს სსრ პროკურორი ვ. ა. რაზმაძე, აჭარის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე თ. ვ. ბაზიაშვილი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ა. კაჩმაზოვი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის" გამომცდელი მძღოლი ბ. ი. ვაშაკიძე, საქართველოს კომპარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი კ. ს. მამედოვი, თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი თ. ნ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. ვ. გორგოძე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორი ნ. გ. ჩერქეზიშვილი, გორის რაიონის ხვითის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა ი. ს. სამხარაძე, მწერალი მ. შ. ჯოხაძე, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი რ. შ. მხეიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, რესპუბლიკის ბიოტექნოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი ვ. ი. ბახუტაშვილი.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი.

კრებამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები, რომლებიც ხელმძღვანელობენ პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მტკიცედ ილვწიან, რათა ამრავლონ საზოგადოებრივი დოვლათი, ახალ მაღალ მიჯნებს მიაღწიონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციები მასების გაზრდილ პოლიტიკურ და შრომით აქტიურობას ახმარენ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, რომლის საწინდარია პატიოსანი, კეთილსინდისიერი დიდნაყოფიერი შრომა, ხალხის დოვლათისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, სოციალისტური კანონიერების განმტკიცება.

ამავე დროს თანამიმდევრულ და დაჩქარებულ წინსვლას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპების სრულ დამკვიდრებას, საზოგადოების სულიერად მდიდარი, იდეურად მტკიცე წევრთა აღზრდას ჯერ კიდევ უშლის ხელს საბჭოთა სინამდვილისათვის უცხო გამოვლინებანი, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეულ პირთა მისწრაფებასთან უკანონო გზით გამდიდრდნენ და მიიღონ დაუმსახურებელი სიკეთე სახელმწიფოსა და სხვა მოქალაქეთა ხარჯზე. რესპუბლიკაში მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით წარმოებს შეუპოვარი ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, — აღებულია იხეთი მუშაკებისაგან პარტიული, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის გაწმენდის კურსი, რომლებმაც სახელი გაიტეხეს, პირად ინტერესებს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებენ.

ამ მუშაობას ახალ გაქანებას აძლევს ამას წინათ მიღებული პარტიულ-სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებანი უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების შემდგომი გაჯანსაღებისათვის გამიზნული ორგანიზაციული, სამართლებრივი, ეკონომიკური და აღმზრდელობითი ღონისძიებების მთლიან კომპლექსურ პროგრამას. ამოცანა ის არის, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, რომ მარჯვედ წარვმართოთ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ადმინისტრაციული ორგანოების, შრომითი კოლექტივების მეცადინეობა, რათა ცხოვრების ყველა სფეროში მივაღწიოთ საბჭოთა კანონების, სოციალისტური სამართლიანობის მოთხოვნების განუხრელ დაცვას.

პარტიული აქტივის კრებამ გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ყოველ შრომით კოლექტივში შექმნან ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, აღმოფხვრან ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ყველა მოვლენა, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიონ თანამედროვე ეტაპზე პარტიის მიერ დასახულ ამოცანათა რეალიზაციაში.

დამტკიცდა უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა.

განხილულ საკითხზე მიღებულია რეზოლუცია.

(საქინფორმი).

## ნომერშია:

◉ როგორ გამოვიყენოთ უკეთ საიალქნო და სანიჩბოსნო ბაზები? მე-2 გვ.
◉ საწყლოსნო სახეობებში ასეთი წარმატებისთვის საქართველოს სპორტსმენებს არასოდეს მიუღწევიათ. მე-3 გვ.
◉ კვლავ ხულიგნური გამოხდომა სტადიონზე — ამჯერად ამბროლაურში. მე-3 გვ.
◉ ხელბურთელები ფინალურ ჯგუფში იასპარეზებენ. მე-4 გვ.

## სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი

ძიუდო

„ოქრო": ვახტანგ ჯაფარიძე (60 კგ, თბილისი)
აკაკი კიბორძალიძე (აბსოლუტური კატეგორია, ქუთაისი)
„ვერცხლი" — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდი
„ბრინჯაო" — ლერი ნაკანი (71 კგ, თბილისი)



### ვახტანგ ჯაფარიძე

დაიბადა 1967 წელს მესტიაში
წონა 60 კგ, სიმაღლე 169 სმ.
სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი.
მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დილარ ხაბულიანი. 1985 წლიდან საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრია.
საუკეთესო შედეგები: საკავშირო ახალგაზრდული პირველობების პრიზიორი, 1986 წლის იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი.



### აკაკი კიბორძალიძე

დაიბადა 1963 წელს ქუთაისში.
წონა 130 კგ, სიმაღლე 182 სმ.
საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი.
მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები ომარ მერაბიშვილი და ზაურ მჭედლიძე.
საუკეთესო შედეგები: საბჭოთა კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი (გუნდური), თბილისის საერთაშორისო ტურნირების სამგზის გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი.



სპარტაკიადის პრიზიორი — საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები

# ყოჩაღ, ძიუდოისტებო!

კიევის სპორტის სასახლეში დასრულდა ძიუდოისტთა სასპარტაკიადო ტურნირი. ბრწყინვალედ იასპარეზეს საქართველოს ფალავნებმა: მათ აქტივშია 4 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი. დიახ, სპარტაკიადის დღეებში ჩვენი მოჭიდავეების გამარჯვების აღსანიშნავად ოთხჯერ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. სპარტაკიადის რვა ჩემპიონიდან ოთხი ქართველი სპორტსმენია! ამდენი ჩემპიონი არც ერთ წინა სპარტაკიადაზე არ გვყოლია. დასანანია, რომ ასეთი ჩინებული შედეგის მიუხედავად, ჩვენმა ძიუდოისტებმა გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავეს. თუმცა ამაზე ცოტა ქვემოთ.

სპარტაკიადის ბოლო ორ დღეს მედლების ოთხი კომპლექტი გათამაშდა. 26 ივლისს ბრძოლაში ჩაებნენ 71 და 65 კგ წონის მოჭიდავეები, 27-ში კი — უმძიმესი და აბსოლუტური კატეგორიის წარმომადგენლები. 71 კგ წონაში, როგორც მკითხველმა იცის, ორმა ქართველმა ძიუდოისტმა იჭიდავა — ლერი ნაკანმა და ბათო ჯიქურმა. ნაკანმა ზედიზედ სამი მეტოქე (უკრაინელი იბრაჰიმ ცარიოვი, ბელორუსი მურატ ტიულპაროვი და ყაზახი ჯაბრაილ კაზოევი) წმინდად დაამარცხა, ნახევარფინალურ შეხვედრასაც (ტაჯიკ მუტილო მულაბაევთან) აშკარა უპირატესობით იგებდა, მაგრამ ბოლო წამებზე მახრჩობელა ილეთზე მოყვა და ფინალს მიღმა დარჩა.

ბათო ჯიქურმა მესამე წრეში წაიბორძიკა (მანამდე წმინდად დაამარცხა ყირგიზეთის წარმომადგენელი სერგეი ლუკომსკი, „იუკოთი" — მოლდაველი ვიქტორ გისემულტე) — ალმაათელ კაირატ მასიკბაევთან დათმო შეხვედრა, შემდეგ კი ე. წ. დამამშვიდებელ ჯგუფში მოუგო ადირ მამედოვს (თურქმენეთი) და ბრინჯაოს მედლისთვის ნაკანის პირისპირ დადგა. თანამემამულეთა პაექრობაში მცირე უპირატესობით გამოცდილმა ნაკანმა გაიმარჯვა და III ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების ბოლო დღეს კვლავ გამეორდა „ოქროს" დუბლი (როგორც იცით, სპარტაკიადის სტარტზე გამარჯვება მოიპოვეს ავთანდილ გუბელაძემ და კობა კურტანიძემ) — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ აკაკი კიბორძალიძე (აბსოლუტური კატეგორია) და ვახტანგ ჯაფარიძე (60 კგ). ეს მართლაც ბრწყინვალე აკორდი იყო.

აკაკი კიბორძალიძე გამოცდილი სპორტსმენია. ქუთაისელ ფალავანს არაერთხელ უასპარეზია დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში, წინა სპარტაკიადაზე იჭიდავა, მაგრამ მაშინ უმედლოდ დარჩა, ამჯერად ჩვენს გოლიათს ბადალი არ ჰყავდა — სამი მეტოქის დასამარცხებლად მას სულ 7 წუთი დასჭირდა. აბსოლუტურ კატეგორიაში გამარჯვებისთვის რვა სპორტსმენი იბრძოდა. კიბორძალიძემ სტარტზე ორწუთნახევარში წმინდად (შებოჭვით) დაამარცხა

იხ. მე-4 გვ.

## გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

**წელს საქართველოს IX სპარტაკიადის პროგრამით გამართულ აფროსანთა შეჯიბრებაზე აფხაზეთის ნაკრები არასრული შემადგენლობით გამოვიდა და გუნდურ ჩათვლაში ბოლო ადგილი დაიკავა.**

**მართალია, სპორტში მარცხისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ აბა ვინ იფიქრებდა, აფროსნობის განვითარებისთვის ასეთი ხელსაყრელი პირობების მქონე რეგიონის გუნდი ასე უხეიროდ თუ გამოვიდოდა. სამწუხაროდ, აფხაზეთის აფროსანთა ეს წარუმატებლობა შემთხვევითი არ არის, ამიტომ მას გვერდს ვერ ავუვლით. პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად შესანიშნავი ბუნებრივი პირობებისა და მდიდარი ტრადიციებისა, ამ ბოლო დროს აფხაზეთში სათანადო ყურადღება არ ექცევა ამ სახეობას, ადგილობრივმა სპორტულმა ხელმძღვანელობამ დროულად არ მიხედა საქმეს და შედეგმაც არ დააყოვნა: აფხაზეთის აფროსნებმა თავი შეირცხვინეს რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე და ბევრი ვერაფერი შემატეს ავტონომიური რესპუბლიკის სასპარტაკიადო „ყულაბას“. მდგომარეობა იმდენად კრიტიკულია, რომ ახლა უსათუოდ დასახება ღონისძიებათა გეგმა, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ჩამორჩენის კონკრეტულ მიზეზებზე შევჩერდებით. სწორედ ამ მიზეზთა გამოსარკვევად ვეწვიეთ აფხაზეთის საიალქნო სპორტის ორ ძირითად ბაზას — „ამრასა“ და სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის“ სოხუმის საიალქნო კლუბს.**

„ამრაში“ მისულს ერთდროულად სინანულისა და ოპტიმიზმის გრძნობა დაეუფლება: ეს საიალქნო კლუბი ეკიპაჟის მომლოდინე სანაოსნოდ გამზადებულ გემს ჰგავს, მეზღვაურები კი ჯერ არ ჩანან. ადვილი მისახვედრია რას ვგულისხმობთ. თავისი მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობით ეს ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს რესპუბლიკაში, გაფართოებისა და მოდერნიზების შესაძლებლობებიც აქვს, მაგრამ „ამრაზე“ ნორმალური სპორტული მუშაობის გაჩაღებაზე არავის უზრუნია. დიახ, სპორტული, თორემ მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის თვალსაზრისით „ამრას“ სასაყვედურო არაფერი აქვს.

„რატომ არ ამზადებს „ამრა“ აფროსნებს?“ ვეკითხებით ზურაბ ახუბას, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს სოხუმის კომპლექსური ბაზის დირექტორს („ამრა“ ამ ბაზის ერთ-ერთი ობიექტია) კითხვაში საყვედურიც იგრძნობა. ახუბა ხომ წარსულში ცნობილი აფროსანი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრი იყო. გვეგონა თავის გასამართლებლად იმ „ობიექტურ მიზეზებზე“ შეჩერდებოდა, რომელთა მოშველიება ასე უადვილებს საქმეს ბაზის ხელმძღვანელებსა და მწვრთნელებს, მაგრამ ცოტა უჩვეულო პასუხი მივიღეთ.

„იმიტომ, რომ, რა ხანია არავის დაუსვამს ჩვენთვის ეს კითხვა. რა თქმა უნდა ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: საქმე არ კეთდებაო, ამის თქმა ადვილია, მიზეზების გამოკვლევა და საქმისათვის თავის მობმაა ძნელი. საქმეს, იცოცხლეთ, გვთხოვენ, მაგრამ ბაზაზე რომ შტატიანი მწვრთნელები არ გვყავს? აი, შტატებს თუ გამოგვიყოფენ, მწვრთნელები საძებარი არ გვეყოლება. ჩვენთან სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობენ წარსულში ცნობილი აფროსნები კონსტანტინე სტრატილოვი, გიორგი გიორგობიანი, იგორ კუპრიანოვი და სხვები. მართალია, ისინი ენთუზიასტები არიან და ბავშვებს გასამრჯელოს გარეშე ამეცადინებენ, მაგრამ ეს არ კმარა. მათ რომ მწვრთნელებად ემუშავათ, სულ სხვა საქმე იქნებოდა, მერწმუნეთ, არც თქვენ გექნებოდათ რამე სასაყვედურო. ერთი სიტყვით, ბაზაზე ყველაფერი გვაქვს აფროსნების აღსაზრდელად, მაგრამ, რაც მთავარია, შტატიანი მწვრთნელები არა გვყავს“.

საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ გადაწყდა თანხების კოოპერირების საფუძველზე გაუმჯობესებულიყო ამ ბაზის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა. აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა, გაზაპარატურის ქარხანამ, „აფხაზმშენის“ ავტობაზამ, სოხუმის სუვენირების ფაბრიკამ, გაერთიანება „აფხაზთამბაქომ“, ქარხანა „სოხუმხელსაწყომ“ და სხვა ორგანიზაციებმა წილობრივ საწყისებზე შეიძინეს ნავები, სპორტული იახტები, ტრენაჟორები და სხვა სპორტინვენტარი. ბაზა თავის მხრივ ამ საწარმოების მუშა-მოსამსახურეებისათვის საზღვაო-სანაოსნო და სხვა სახის მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებს აწყობს. ეს ღონისძიებები ამ საწარმოების ხელმძღვანელთა თხოვნის გათვალისწინებით ძირითადად შაბათ-კვირას ან სამუშაო საათების შემდეგ იმართება, სხვა დროს კი „ამრას“ ფლოტილია ფაქტიურად უქმად დგას. აფხაზეთის სპორტკომიტეტსა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებს რომ მოენდომებინათ, მუშაობის ისეთ ფორმებს გამოძებნიდნენ, რომ ამ ხნის განმავლობაში ბაზა ასე უქმად არ მოცდებოდა. დაკარგულს ალარაფერი ეშველება, ამიტომ სჯობს მდგომარეობის გამოსწორებაზე ვიზრუნოთ.

თქვენის აზრით, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ბაზა უქმად არ იდგეს? — ვკითხეთ ისევ ზურაბ ახუბას.

„პირველ რიგში გვჭირდება შტატიან მწვრთნელთა ჯგუფი, რომელიც ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფების მეცადინეობას უხელმძღვანელებს. ინვენტარი ერთ-ორ ჯგუფს კი გასწვდება, მაგრამ მწვრთნელები თუ გვეყოლება, საჭირო რაოდენობით შევძენთ და ბაზაზე, ნავებზე და საწვრთნელი მუშაობის ხარისხზეც ჩვენვე ვაგებთ პასუხს. ამ პასუხისმგებლობის არ გვეშინია, რადგან კარგად ვიცით როგორ ვიმუშაოთ, მით უმეტეს, რომ სხვებზე ნაკლებად არ გვადარდებს აფხაზეთში აფროსნობის ჩამორჩენა. ერთი სიტყვით, ხელი შეგვიწყონ და მუშაობის შედეგი მერე დაგვიწუნონ“.

ზურაბ ახუბასთვის ეს პრინციპული საკითხია. მას მიაჩნია, და სავსებით სამართლიანადაც, რომ საერთო საქმის წინ წასაგდებად საერთო ძალისხმევაა საჭირო, რომ ჩამორჩენის მიზეზების ჩვენს მიღმა ძიება კარგს არაფერს მოგვიტანს, პრობლემების გადასაჭრელად ძალთა კონცენტრაცია და ერთმანეთის მხარში ამოდგომაა საჭირო. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ყოფილი აფროსნების ინიციატივით და აფხაზეთის სპორტკომიტეტის მხარდაჭერით შემუშავდა მუშაობის ახალი, ე. წ. ბრიგადული ფორმა: პერსპექტიული სპორტსმენები (მიუხედავად იმისა, ვინ რომელ სპორტსაზოგადოებას ეკუთვნის) ერთად ივარჯიშებენ და ყველა ერთად ეცდება ჩამორჩენა დაძლიოს. ჩვენის აზრით მათთვის ძირითად „საყრდენ პუნქტად“ ჯერჯერობით „ამრა“ უნდა იქცეს, რადგან ამ ბაზას საუკეთესო მატერიალურ-ტექნიკური პირობები და პერსპექტივები აქვს. პერსპექტივებზე კი საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. ბაზის გასწვრივ წყალში ბეტონის ვეება მონოლითები იდგმება. „როცა ეს საქმე დასრულდება — აგვიხსნა ზურაბ ახუბამ — ბაზას მყუდრო ნავსაყუდელი და ზღვის ბუნებრივი აუზი ექნება. მონოლითები სანაპირო „აკვატორიას“ ტალღებისგან დაიცავენ და მოცურავეებიც და ნავებიც უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს. აქვე მსურველებს ცურვასაც ვასწავლით და სხვადასხვა სპორტულ-საჩვენებელ ღონისძიებებსაც გავმართავთ. ბეტონის მონოლითებზე წყალში სახტომი ტრამპლინი მოეწყობა. რაც მთავარია, ეს იქნება შესანიშნავი ბუნებრივი კომპლექსური ბაზა მშდ ნორმატივების ჩასაბარებლად“.

არის იმის შესაძლებლობა, რომ გაიზარდოს ბაზის „საცხოვრებელი ფართიც“ — შენობას შეიძლება მეორე სართულიც დააშენდეს. თუმცა არსებობს სხვა გზაც... ხმელეთიდან ბაზაზე ისე ვერ შეხვალთ, თუ რესტორან „ამრას“ ტერიტორია არ გაიარეთ. ორივე „ამრა“ (რესტორანიცა და საიალქნო კლუბიც) ზღვაში ერთიმეორის გასწვრივ, რკინის ხიმინჯებზე დგას. რესტორანისა და სპორტული ობიექტის ასეთი მეზობლობა უსათუოდ გაგაკვირვებთ. მით უმეტეს გააკვირვებს იგი სპორტული გაზეთის მუშაკს, რომელსაც სპორტული ინტერესები ამოძრავებს. ჩვენც ძალაუნებურად ასე ვიფიქრეთ: რესტორანი შეიძლება სხვაგანაც აშენდეს, ბაზა კი გაფართოვდეს. თუ ასე მოხდა, საიალქნო სპორტს კიდევ ერთი საუცხოო სპორტული ბაზა შეემატება.

მოვინახულეთ სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის“ სოხუმის საიალქნო კლუბიც. ეტყობა, საქართველოს საზღვაო სანაოსნო და სპორტსაზოგადოება „ვოდნიკი“ როგორც გერს, ისე ეპყრობიან ამ ბაზას, თუმცა ბაზის ან საიალქნო კლუბის რა უგავს ამ ავარიულ მდგომარეობაში მყოფ შენობას.

„ამრას“ შემდეგ იგი საცოდავი ქოხმახის შთაბეჭდილებას ტოვებს. ჩანს, სანაოსნოსა და „ვოდნიკის“ რესპუბლიკურ საბჭოს, რომლის ხელმძღვანელებსაც ბათუმში უდევთ ბინა, არ აღელვებთ სოხუმის ბაზის ბედი — თვალის შევლებისთანავე მიხვდებით, რომ ამ ბაზას გულშემატკივარი არც შენებისას ჰყოლია და არც ახლა ჰყავს. ბაზისთვის მოუხერხებელი ადგილი შეურჩევიათ (ორივე მხრიდან სამეურნეო დანიშნულების ობიექტები ავიწროებენ), არც საჭირო თანხებზე უზრუნიათ — შენობის ასაგებად მონარჩენი სამშენებლო მასალა გამოუყენებიათ. როგორც გვითხრეს, ბაზას კარგა ხანს პატრონიც არ ჰყავდა (ბალანსზე აყვანას ვგულისხმობთ). მერე ყინული თითქოს დაიძრა: კლუბი სოხუმის ნავსადგურს გადაეცა ბალანსზე და მისი რეკონსტრუქციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემუშავდა, მაგრამ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს (უფროსი — გ. ჭილვარია) რეკონსტრუქციისთვის საჭირო 50 000 მანეთი დღემდე არ გადაურიცხავს სოხუმის ნავსადგურისთვის. წლიდან წლამდე ასეთ პირობებში ყოფნამ ნორჩ აფროსანთა ენთუზიასტ აღმზრდელებს მუშაობის ხალისი დაუკარგა. ან რა მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა სპორტსაზოგადოება „ვოდნიკმა“ ამ ბაზაზე საიალქნო სპორტში სამეცადინოდ თვეში მხოლოდ 50 საათი დაგეგმა. ეს საზოგადოება არავითარ პრაქტიკულ დახმარებას არ უწევს კლუბს და არ უზრუნველყოფს მას სპორტული ინვენტარით. თუ ასე გაგრძელდა, უმჯობესი იქნება ბაზა აფხაზეთის სპორტკომიტეტს გადაეცეს, რადგან ამ კლუბის გარდა სოხუმის ნავსადგურს „ვინდსერფინგის“ ბაზაც აქვს და ჯობს იმას მაინც მიხედოს რიგიანად (აშკარაა, რომ ნავსადგურს ორი ბაზის შენახვა უჭირს), აფხაზეთის სპორტკომიტეტი კი საკუთარ საიალქნო კლუბს მიიღებს, უკეთესადაც მოუვლის, მწვრთნელთა საკითხსაც მოაგვარებს და მათ მუშაობასაც უშუალოდ შეამოწმებს. მაგრამ აქვე დავძენთ, რომ ეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გაკეთდეს. მსხვილი საწარმო-დაწესებულებები სპორტული ობიექტების მშენებლობას არ უნდა გაურბოდნენ. სამწუხაროდ, სწორედ ასე იქცევა საქართველოს საზღვაო სანაოსნო, არადა, ჩვენი სპორტის მომავალზე, ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებაზე ამ საწარმოთა ხელმძღვანელებმაც ხომ უნდა იფიქრონ!

„ვოდნიკის“ სოხუმის საიალქნო კლუბთან დაკავშირებით საყვედური ერთი კონკრეტული ორგანიზაციის მისამართით გამოვთქვით. სპორტი ამ შემთხვევაში, ასე ვთქვათ, „მომჩივნის“ როლში აღმოჩნდა. ახლა ისეთ შემთხვევაზე გვინდა მოგითხროთ, როცა სიტუაცია ერთგვარად იცვლება. ხუდონჰესის მშენებლობის ხელმძღვანელობამ გალის წყალსაცავზე, სოფელ ზედა რეჩხთან, საწყლოსნო-სპორტული გამაჯანსაღებელი კომპლექსიააშენა (კომპლექსის პროექტი „თბილჰიდროპროექტში“ შემუშავდა). ეს ბაზა მშენებლებისთვის აშენდა და მათი ჯანმრთელობისა და დასვენება-გაკაჟების საქმეს უნდა ემსახუროს. გასაკეთებელი თითქმის აღარაფერი დარჩა — როგორც მშენებლები ამბობენ, ბაზას „ფერ-უმარილის წასმაღა უნდა ხალხში გამოსასვლელად“. უკეთეს ბაზას ჩვენი ნიჩბოსნები ვერც ინატრებენ. დიახ, მშენებლებისა და მუშა-მოსამსახურეების გარდა ეს კომპლექსი შეიძლება ნიჩბოსნებმაც გამოიყენონ. მათ განკარგულებაში იქნება რამდენიმე კოტეჯი, სასადილო, სამედიცინო ოთახი, წითელი კუთხე, დიდი და ნათელი სპორტულ დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, ფიცარნავი ნავების წყალში გასაშვებად. მოკლედ, აქ ყველაფერია საიმისოდ, რომ ჩვენმა ნიჩბოსნებმა სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები მოაწყონ, ის კი არა, კომპლექსი მუდმივმოქმედ სანიჩბოსნო ბაზად შეიძლება იქცეს, რაც კიდევ უფრო გააფართოებს ამ სახეობის გავრცელების არეალს ჩვენს რესპუბლიკაში.

ბაზასთან რამდენიმე სოფელია, ზოგი ახლოს, ზოგიც მოშორებით: რეჩხი, საბერიო, ჩეღალის დასახლება, დიხაზურგა, პირველი გალი, ჭუბურხინჯი, ღუმურიში. ამ სოფლების მკვიდრთა საერთო რაოდენობა 30 ათასს აღწევს. თუ ბაზის მიმართულებით ავტობუსი დაინიშნება, მაშინ აქაური ახალგაზრდები ნიჩბოსნობაშიც სისტემატიურად ივარჯიშებენ.

ცხადია, ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ ჩანაფიქრია, რომლის განხორციელებას დრო და ბევრი ენთუზიასტის ხელის გამოღება დაჭირდება. საქმის დაწყებაც იოლი საქმე არ გახლავთ, საკამათოც ბევრია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს ბაზა იმ საჯილდაო ქვას ჰგავს, რომლის აზიდვა საქმის სიყვარულზე და მონდომებაზეა დამოკიდებული.

**თამაზ მიბრიაული,**
**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.**

### როცა დროულად არ ვზრუნავთ



## შთაბეჭდილებათა წიგნში — მრავალი მადლობა



**ცხვარიჭამია.** პიონერთა ქალაქი „ცისკარი“. ბანაკების შთაბეჭდილებათა წიგნებში უკვე მრავალი სამადლობელო ჩანაწერი გაჩნდა. მათი ავტორები არიან უკრაინელი მოსწავლეების მშობლები. ისინი ამით გამოხატავენ თავიანთ მადლიერებას იმ დიდი ზრუნვისთვის, რასაც მათი შვილებისადმი იჩენენ ბანაკის ხელმძღვანელები.

ფიზკულტურასა და სპორტს ცისკრელთა დღის რეჟიმში განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია. უკვე ჩატარდა შიდა სარაზმო და საბანაკო სპარტაკიადები. რამოდენიმე დღის წინ საბანაკთაშორისო სპარტაკიადა დამთავრდა. ნორჩები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ფეხბურთში, კალათბურთში, შაშში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, პიონერბოლში. გამარჯვებულებს თასები, სიგელები და საჩუქრები გადაეცათ.

**ჯემალ კახიძის ტექსტი და ფოტო.**

**პიონერული ზაფხული-86**







პირველად!

# საქართველოს სპორტსმენთა უჩვეულო ნადავლი

**დასავლეთ** ბერლინში გუშინ დამთავრდა ახალგაზრდების ევროპის პირველობა სპორტის წყალოსნო სახეობებში, სადაც საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. მათ შორის იყვნენ წყალში მხტომელები დიანა მჭედლიძე, გიორგი ჩოგოვაძე, სინქრონული ცურვის ოსტატი ხრისტინა ფალასინიდი და მოცურავე იგორ არტიომოვი.



ხრისტინა ფალასინიდი

სსრ კავშირისა და ჭაბუკთა საკავშირო თამაშების ჩემპიონმა თბილისელმა დიანა მჭედლიძემ („გახთიადი") 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დიანასთვის ხანგრძლივ ავადმყოფობას ხელი რომ არ შეეშალა, იგი ალბათ „ოქროსთვისაც" შეძლებდა ბრძოლას. სწორედ ავადმყოფობის გამო სპეციალისტებს ეეჭვებოდათ, რომ დიანა რაიმე მედალს მოიპოვებდა. ამჯერად, ჩვენი სპორტსმენის მესამე ადგილი მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

მათგან განსაკუთრებით კარგად იასპარეზა თბილისელმა ხრისტინა ფალასინიდიმ („კოლმეურნე"), რომელმაც ერთეულთა თანრიგში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ჯგუფურ ვარჯიშში თანაგუნდელებთან ერთად ყველას აჯობა.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთაგან თავი გამოიჩინა გიორგი ჩოგოვაძემაც, რომელმაც 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ალსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა მსგავს შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენმა, ერთეულთა თანრიგში, მედალი დაიმსახურა. არადა, როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, გოგონათა საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი წინააღმდეგი იყო, რომ ხრისტინას ერთეულთა თანრიგში ეასპარეზა, მაგრამ თბილისელმა მოსწავლემ დაამტკიცა, რომ გუნდის ღირსეული წევრია.



გიორგი ჩოგოვაძე



დიანა მჭედლიძე

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხელთ არა გვაქვს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ იასპარეზა საქართველოს მეოთხე წარმომადგენელმა, მაგრამ როგორც არ უნდა გამოსულიყო, ჩვენი სპორტსმენების ნადავლი უჩვეულოა. მსგავს შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტსმენებს არა თუ ოთხი მედალი, არამედ ამდენი მონაწილეც კი არ ჰყოლიათ.

# უდისციპლინობა კვლავ გრძელდება, რატომ?

ყოვლად შეუწყნარებელი, საოცარი ამბები ხდება საქართველოს საფეხბურთო პირველობის მატჩებში. ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება უმთავრესად მიპყრობილია მოწინავე გუნდებისკენ, პირველი ლიგის კოლექტივებისკენ, რეაგირების გარეშე არ ვტოვებთ არც ერთ უდისციპლინო შემთხვევას, არც ერთ დარღვევას, მაგრამ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მიმდინარეობს II ლიგის ფეხბურთელთა შეჯიბრებებიც, აქ კი უფრო ხშირად ხდება აღმაშფოთებელი დარღვევები.

პირდაპირ საოცარია: წესრიგის დარღვევას, უხეშობას, სტადიონებზე მომხდარი უდისციპლინობის თითოეულ ფაქტს საგანგებოდ განიხილავენ ჩვენი უმაღლესი სპორტული და საფეხბურთო ორგანოები, დამნაშავეებს სასტიკად სჯიან, მაგრამ, ვითომ არაფერი მომხდარაო, ცალკეული გუნდები, ცალკეული ფეხბურთელები კვლავ დაურიდებლად, უტიფრად განაგრძობენ წესრიგის დარღვევას. ცხადია, როცა უდისციპლინობას ასეთი მასობრივი ხასიათი აქვს, მისი სათავეები უნდა ვეძიოთ უშუალოდ საფეხბურთო კოლექტივებში. ეჭვი არაა, ადგილობრივი სპორტული მესვეურნი, უშუალოდ მონაწილე გუნდების მწვრთნელები და ხელმძღვანელები არ ეწევიან ფეხბურთელებთან აღმზრდელობით მუშაობას. დარღვევები უშუალოდ გუნდებში ხდება, ამიტომ ამ უმსგავსოებათა სათავეებიც სწორედ აქ, ამ საწყის ეტაპზე უნდა ვეძიოთ. მწვრთნელები ყოველგვარად მალავენ თავიანთ კოლექტივებში შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ყოველგვარი დაუშვებელი მაქინაციებით ცდილობენ „ჩააწყონ საქმე", რათა დამნაშავე ფეხბურთელებისთვის სასჯელის ნაცვლად შეწყალება გამოსტყუონ ვინმეს.

ეს ყოვლად დაუშვებელი ამბავია, ეტყობა, მომავალში ისე უნდა წარვმართოთ საქმე, რომ თითოეული ფეხბურთელის უმსგავსო საქციელი უპირველეს ყოვლისა მოვკითხოთ მის მწვრთნელს, აღმზრდელს, შესაბამისი სპორტკომიტეტებისა და სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელებს, საზოგადოებრივ მუშაკებს. მკაცრად უნდა დაისაჯონ სწორედ ისინი, ვისი გამგებლობის ქვეშ მყოფი გუნდები და ფეხბურთელები კვლავ და კვლავ წამლავენ ჯანსაღ სპორტულ ატმოსფეროს.

**SOS**

...27 ივლისს ამბროლაურში დანიშნული იყო მატჩი საქართველოს პირველობაზე II ლიგის ცენტრალური ზონის გუნდებს შორის: „რაჭა" (ამბროლაური)—„იმერეთი" (წულუკიძე) და რესპუბლიკის ჩემპიონატის ეს კალენდარული მატჩი ჩაიშალა იმის გამო, რომ ადგილობრივმა ფეხბურთელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

რესპუბლიკის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ჩაიშალა! ჩაიშალა ფეხბურთელთა ხულიგნობის გამო! ამაზე უფრო აღმაშფოთებელი ფაქტი რაღა უნდა იყოს? ამის თაობაზე შესაბამისი ორგანოები იმსჯელებენ, „ლელო" დაუბრუნდება ინციდენტს და მიღებული ზომების შედეგებს მკითხველს დაწვრილებით გააცნობს.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XX ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

**აღმოსავლეთი ჯგუფი**

„კახეთი" (თელავი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:0, „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „არმაზი" (მცხეთა) 2:1, „ქართლი" (გორის რ-ნი) — „იმედი" (თბილისი) 0:1.

თბილისის არმიელ ფეხბურთელთა გუნდი საკუთარ მინდორზე სათამაშოდ არ გამოცხადდა ცხინვალის „სპარტაკთან", რისთვისაც მას დამარცხება ჩაეთვალა.

**დასავლეთი ჯგუფი**

„მერცხალი (მახარაძე) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:2, „სულორი" (ვანი) — „იმერეთი" (ქუთაისი) 3:0, „შადრევანი" (წყალტუბო) — „დინამო" (ზუგდიდი) 3:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „დინამო" (გაგრა) 2:2, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 4:1, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „სქური" (წალენჯიხა) 3:0.

უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

მდგომარეობა 27 ივლისისთვის

| | თ. | მ | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 19 | 15 | 2 | 2 | 52-20 | 32 |
| „სპარტაკი" | 18 | 11 | 4 | 3 | 50-22 | 26 |
| „ჩერნომორ." | 19 | 8 | 6 | 5 | 30-22 | 22 |
| „შახტიორი" | 17 | 7 | 7 | 3 | 25-17 | 21 |
| „ზენიტი" | 18 | 7 | 6 | 5 | 29-24 | 20 |
| „დინამო" თბ. | 19 | 7 | 5 | 7 | 22-25 | 19 |
| „ჟალგირისი" | 18 | 7 | 4 | 7 | 24-22 | 18 |
| „დინამო" მ. | 17 | 7 | 4 | 6 | 22-20 | 18 |
| „მეტალის." | 18 | 5 | 8 | 5 | 18-17 | 18 |
| „დინ." მნ. | 18 | 4 | 9 | 5 | 15-19 | 17 |
| „ტორპ." მ. | 18 | 5 | 6 | 7 | 19-23 | 16 |
| „არარატი" | 19 | 5 | 5 | 9 | 14-24 | 15 |
| „დინამო" კ. | 11 | 5 | 3 | 3 | 17-15 | 13 |
| „ტორპ." ქ. | 19 | 4 | 4 | 11 | 16-35 | 12 |
| „ნეფთჩი" | 18 | 2 | 5 | 11 | 12-33 | 9 |
| „ქაირათი" | 18 | 2 | 4 | 12 | 9-36 | 8. |

# გაიმარჯვეს ამერიკელებმა

**ფეხბურთის** მოყვარულები დიდი ინტერესით მოველოდით ცნობას ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ პასადენადან, სადაც გასულ კვირას გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ამერიკისა და „დანარჩენი სამყაროს" ნაკრებ გუნდებს შორის.

მკითხველს ვთავაზობთ ცნობებს, რომლებიც მივიღეთ იმ მატჩის თაობაზე. თამაში დასაწყისში „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრების სასარგებლოდ წარიმართა, მიმდინარეობდა მე-14 წუთი, როცა ინგლისელი ბუტჩერის დარტყმა ვერ მოიგერია ამერიკელთა მეკარე პუმპიდომ, 59-ე წუთზე კი „დანარჩენი სამყაროს" ნაკრებმა კიდევ უფრო განიმტკიცა მდგომარეობა: ბურთი გაიტანა იტალიელმა როსიმ — 2:0.

ამერიკელებმა ამის შემდეგ გარდაქმნეს თამაში, 81-ე წუთზე პარაგვაელმა კაბანიასმა პირველი საპასუხო ბურთი გაიტანა, მერე კი, 88-ე წუთზე, არგენტინელმა მარადონამ საბოლოოდ აღადგინა თანაფარდობა — 2:2.

დაინიშნა დამატებითი პენალტების სერია, აქ უფრო ზუსტი ამერიკელები იყვნენ, რომლებმაც მოიგეს პენალტების დუელი — 4:3 და მთლიანად მატჩიც — 6:5.

მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცა მიწისძვრისაგან დაზარალებული მექსიკელი ბავშვების დახმარების ფონდს.

მატჩს ქალაქ პასადენაში დაესწრო 70.000 მაყურებელი, კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა მარადონამ.

ამ მატჩში მეტოქე გუნდების შემადგენლობაში გამოდიოდნენ:

**ამერიკა** — პუმპიდო (არგენტინა), ჟოსიმარი (ბრაზილია), სერვინი (მექსიკა), ბრაუნი (არგენტინა), სეზარი (ბრაზილია), ფალკაო (ბრაზილია), ალემაო (ბრაზილია), ნუნიესი (პარაგვაი), მარადონა (არგენტინა), კაბანიასი (პარაგვაი), ნეგრეტე (მექსიკა). თამაშის მსვლელობაში მეკარე პუმპიდო შეცვალა პარაგვაელმა ფერნანდესმა.

**„დანარჩენი სამყარო"** (შეცვლებით) — ჯენინგსი (ჩრ. ირლანდია), რანკენი (ბელგია), პაკ ჩან სუნი (სამხრეთ კორეა), შტილიკე (გფრ), ბუტჩერი (ინგლისი), ამორო (საფრანგეთი), მაგატი (გფრ), ლერბიუ (დანია), სტრაჩანი (შოტლანდია), ბელანოვი (სსრ კავშირი), როსი (იტალია), როშტო (საფრანგეთი), დასაევი (სსრ კავშირი), ჰერმანი (შვეიცარია).

I ლიგა

**27 ივნისს** მოსკოვში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი ადგილობრივ ცსკა-სა და იაროსლავლის „შინიკს" შორის. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „შინიკმა".

## გ. კასპაროვ — ა. კარპოვის მატჩი

# საზეიმოდ გაიხსნა

**27 ივლისს** ლონდონის სასტუმრო „პარკ-ლეინში" საზეიმოდ გაიხსნა გარი კასპაროვისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-რევანში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის.

შეჯიბრების გახსნის ცერემონიალს დაესწრო დიდი ბრიტანეთის მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი.

წილისყრამ გადაწყვიტა, რომ პირველ და ყველა კენტ პარტიაში თეთრი ფიგურებით ა. კარპოვი ითამაშებს.

პირველი პარტია გუშინ, 28 ივლისს, გვიან ღამით დამთავრდებოდა.

# ტელევიზიით გადაიცემა

**საკავშირო** ტელევიზიას განზრახული აქვს რეპორტაჟები მოაწყოს ლონდონიდან. გადაცემებს გაუძღვება ტელევიზიის სპეციალური კორესპონდენტი გიორგი სურკოვი. პარტიებს კომენტარს გაუკეთებენ ოსტანკინოს ტელესტუდიიდან დიდოსტატები მარკ ტაიმანოვი, ალექსეი სუეტინი და საერთაშორისო ოსტატი ნიკოლოზ პანოვი.

რეპორტაჟები გადმოიცემა პარტიის თამაშის დღეს (მოსკოვის დროით) დაახლოებით 23 საათის შემდეგ. მეორე დღეს კი ამ პარტიას მიეძღვნება ჯერ ხუთწუთიანი კომენტარი (19 საათზე), მერე სპეციალური ათწუთიანი გადაცემა (პროგრამა „ვრემიას" შემდეგ, 21 საათსა და 40 წუთზე).

სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## ჩემპიონობა უკრაინელებმა მოიპოვეს

**დამთავრდა** IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ შეიქმნა „ა" და „ბ" ნახევარფინალური ჯგუფები, აქ წარმატებას მიაღწიეს უკრაინისა და უზბეკეთის გუნდებმა, რომლებიც 27 ივლისს კიევში ერთმანეთს შეხვდნენ ოქროს მედლებისთვის საბრძოლველად, ხოლო III ადგილისთვის თამაშობდნენ მოსკოვისა და მოლდავეთის გუნდები. ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩი წვიმაში მიმდინარეობდა, თუმცა, თამაში ძალზე საინტერესო გამოდგა.

უკრაინის ფეხბურთელთა უპირატესობა საგრძნობი იყო მთელი თამაშის მსვლელობაში, გამარჯვებას კი მათ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მიაღწიეს — 1:0. გადამწყვეტი ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა სიდელნიკოვმა.

ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მოსკოველმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 3:1 (2:0) დაამარცხეს მოლდავეთის გუნდი.

სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირში, როგორც ცნობილია, მონაწილეობდნენ 21 წლამდე ფეხბურთელები. უკრაინელთა გუნდში (უფროსი მწვრთნელი ვ. კოლოტოვი) გამოდიოდნენ როგორც უმაღლესი, ისე, უფრო დაბალი ლიგების ფეხბურთელებიც, გამოვლინდნენ პერსპექტიული მოთამაშეები. აღსანიშნავია, რომ ტურნირზე წარუმატებლად გამოვიდნენ რსფსრ-ს, ლენინგრადისა და საქართველოს ფეხბურთელები.

## მშვიდ და უქარო ამინდში

**ტალინი.** აფროსანთა რეგატა, როგორც წესი, ამინდზეა დამოკიდებული. რბოლა საინტერესოა და დაძაბული მაშინ, როცა ზურგქარი უბერავს და მონაწილეებს ოსტატობის გამომჟღავნების საშუალება აქვთ. სამწუხაროდ, აქ, სასპარტაკიადო შეჯიბრების პირველ დღეს, აბსოლუტურად უქარო ამინდი იდგა და ამის გამო შეჯიბრება ორ კლასში — „ლუჩსა" და „ვინდგლაიდერში" არც კი ჩაუტარებიათ. [illegible] მონაწილენი მოთმინებით [illegible] ქარს და როგორც [illegible] ოდნავ შეირხეოდა, ბრძოლას [illegible]. ასეთი გაჭირვებით [illegible] პირველი სერიის [illegible] ზოგ კლასში.

[illegible] დღის შედეგებით „ვა[illegible]" კლასში ჩვენი რესპუბლიკის ნავი VI ადგილზეა (გურამ ბიგანიშვილის ეკიპაჟი ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს). „მფრინავი ჰოლანდიელის", „სოლინგისა" და „470"-ის (ქალები) კლასებში კი რესპუბლიკის აფროსნები მეათე ადგილზე არიან.

გუშინ ჩაატარეს პირველი დღის შეჯიბრება „ლუჩმა" და „ვინდგლაიდერებმა", მერე კი მეორე სერიის რბოლები დაიწყო.

# სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა

## ყოჩაღ, ძიუდოისტებო!

(დასასრული)

ალექსანდრე ხრამცოვსკი (უზბეკეთი), მეორე წრეში ასევე შებოჭვით მოუგო ვიტალი სანდუს (მოლდავეთი), ფინალში კი სამ წუთში ტატამს გააკრა უკრაინელთა გუნდის წევრი მაიზერ ჯაფარიძე. ამ კატეგორიაში თბილისელი ნუკრი დავითაშვილიც ასპარეზობდა. მან ორი ბრძოლა დათმო და გუნდს ჩასათვლელი ქულები ვერ მისცა.

პარალელურად მიმდინარეობდა უმძიმესი წონის მოჭიდავეთა პაექრობა. სასტარტო ოქმში 16 სპორტსმენის გვარი იყო შეტანილი. იშვიათი შეუპოვრობა და ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა თბილისელმა ვახტანგ ჯაფარიძემ. პირველ წრეში მან „იუკოთი" მოუგო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების წევრს რასიმ ბაბაევს (აზერბაიჯანი), მეორე წრეში კი შეუპოვარი ბრძოლა ჰქონდა კამილ არსლანოვთან (ყირგიზეთი). მეტოქეებმა ქულის აღება ვერ მოახერხეს, მაგრამ ჯაფარიძე გაცილებით აქტიური იყო და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. შემდეგ ჯაფარიძის პირისპირ მოსკოველი დიმიტრი ტროშკინი დადგა. ეს შეხვედრა ორ წუთში დამთავრდა — ქართველი სპორტსმენის ეფექტური გდება მსაჯებმა „იპონით" შეაფასეს. ჯაფარიძესთან ერთად ფინალში გავიდა უზბეკეთის წარმომადგენელი არტურ ბაბაიანი. გადამწყვეტი ორთაბრძოლა უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ჩვენი ფალავანი ერთთავად უტევდა, ბაბაიანი კი, რომ იტყვიან, „ყრუ" დაცვაში გადავიდა და მთელი ხუთი წუთის მანძილზე იმის ცდაში იყო, როგორმე მეტოქის ილეთები ჩაეფუშა. შეხვედრა „საყაიმო" ანგარიშით დამთავრდა და აქ საქმეში კვლავ მსაჯები ჩაერივნენ. სამივე არბიტრმა გამარჯვება ჯაფარიძეს მიაკუთვნა. საქართველოს ნაკრების „ყულაბას" მეოთხე ოქროს მედალი შეემატა.

დასანანია, რომ ასეთი წარმატების შემდეგ საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე აღმოჩნდა. აი, რას ამბობს საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ძიუდოში **იური იმერლიშვილი**, რომელიც კიევიდან დაბრუნებისთანავე რედაქციაში მოვიწვიეთ:

— სპარტაკიადის წინა დღეებში, როგორც ცნობილია, კეთილი ნების თამაშები გაიმართა. ამ შეჯიბრებაში რუსეთის ფედერაციის ორმა მოჭიდავემ ოქროს მედალი მოიპოვა, ორმაც — ვერცხლისა (თამაშებზე ქართველი ძიუდოისტები არ გამოსულან). მათ რსფსრ-ს სასპარტაკიადო გუნდს 132 ჩასათვლელი ქულა მისცეს. ერთი სიტყვით, ჩვენი მთავარი კონკურენტები ჯერ კიდევ სპარტაკიადის დაწყებამდე... 132 ქულით გვისწრებდნენ. უშუალოდ სპარტაკიადაზე რუსეთის ფედერაციის 7 მოჭიდავე დაუშვეს და 4 საუკეთესო შედეგი იმ 132 ქულას დაემატა. ასეთ არათანაბარ პირობებში, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელი იყო გუნდური პირველობისთვის ბრძოლა, თუმცა ჩვენმა ბიჭებმა დიდი ნებისყოფა და ოსტატობა გამოავლინეს და ახლოს იყვნენ მიზანთან. საბოლოოდ, რსფსრ-ს ნაკრებთან 4,5 ქულა წავაგეთ.

ბოლოს წარმოგიდგენთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებს: დილარ ხაბულიანი (უფროსი მწვრთნელი), ანზორ მარტყოფლიშვილი, გურამ პაპიტაშვილი, გივი ზაუტაშვილი, ომარ მერაბიშვილი, სულიკო ფეიქრიშვილი, ომარ გულისაშვილი, ჯუმბერ ჯღუთაშვილი, ბიძინა მოხევიშვილი. მეცნიერ კონსულტანტი — გაიოზ ყაყიჩაშვილი, მასაჟისტი თეოფილე აშკალოვი.



**ლერი ნაკანი**

**დაიბადა 1969 წელს მესტიაში. წონა 71 კგ, სიმაღლე — 175 სმ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი. მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი დილარ ხაბულიანი საუკეთესო შედეგები: ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის III პრიზიორი, საბჭოთა კავშირის 1985 წლის ჩემპიონი, სსრკ თასის მფლობელი (გუნდური), თბილისის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი, სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი.**

### ტასს კვარცხლბეკი

**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა. ძიუდო. კიევი. 24-27 ივლისი.**

**გუნდური ადგილები. 1. რუსეთის ფედერაცია** — 214 ქულა; 2. **საქართველო** — 209,5; 3. **უკრაინა** — 171,5; 4. მოსკოვი — 147; 5. უზბეკეთი — 115,5; 6. აზერბაიჯანი — 105; 7. ყაზახეთი — 97,5; 8. ბელორუსია — 91; 9. ლენინგრადი — 80,5; 10. ლიტვა — 65,5; 11. ტაჯიკეთი — 45,5; 12. მოლდავეთი 45; 13. თურქმენეთი — 31; 14. ლატვია — 20; 15. ყირგიზეთი — 10.

**პირადი ადგილები. 60 კგ. 1. ვ. ჯაფარიძე** (საქართველო), 2. ა. ბაბაიანი (უზბეკეთი), 3. დ. ტროშკინი (მოსკოვი) და ი. ტრუფანოვი (ლენინგრადი).

**65 კგ.** 1. ს. კოსმინინი (რსფსრ), 2. ე. ახმედოვი (აზერბაიჯანი), 3. ჯ. კანიროვი (უკრაინა) და ტ. ფოლადოვი (აზერბაიჯანი).

**71 კგ.** 1. კ. მასიკბაევი (ყაზახეთი), 2. მ. მუდაბაევი (ტაჯიკეთი), **3. ლ. ნაკანი (საქართველო)** და მ. ტიულპაროვი (ბელორუსია).

**78 კგ.** 1. ბ. ვარაევი (რსფსრ), 2. ა. კუხარენკო (მოსკოვი) **3. ე. გოგიჩაშვილი (საქართველო)** და რ. აგამიროვი (აზერბაიჯანი).

**86 კგ.** 1. ს. ზლობინი (უკრაინა), 2. ტ. აბდულაევი (ლენინგრადი), 3. ვ. ბურბა (ლიტვა) და ი. კაზიმოვი (აზერბაიჯანი).

**95 კგ. 1. კ. კურტანიძე (საქართველო)**, 2. ა. პოპოვი (მოსკოვი), 3. დ. სოლოვიოვი (უზბეკეთი) და ე. დოლინსკი (ბელორუსია).

**მძიმე (95 კგ. ზემოთ). 1. ა. გუბელაძე (საქართველო)**, 2. ს. სავჩენკო (უკრაინა), 3. გ. იარემენკო (უკრაინა) და რ. ვასკელა (ლიტვა).

**აბსოლუტური. 1. ა. კიბორძალიძე (საქართველო)**, 2. მ. ჯაფარიძე (უკრაინა), 3. ვ. სანდუ (მოლდავეთი) და ა. ხრამცოვსკი (უზბეკეთი).

აქვე გთავაზობთ საქართველოს ძიუდოისტთა მიერ მოპოვებულ ქულებს ცალკეულ წონით კატეგორიებში: 60 კგ. ვ. ჯაფარიძე — 36 ქულა; 65 კგ. მონაწილე არ გვყავდა; 71 კგ. ლ. ნაკანი — 25, ბ. ჯიქური (V — VI ადგილი) — 15,5; 78 კგ. ე. გოგიჩაშვილი — 25; 86 კგ. მონაწილე არ გვყავდა; 95 კგ. კ. კურტანიძე — 36; მძიმე. ა. გუბელაძე — 36; აბსოლუტური. ა. კიბორძალიძე — 36, ნ. დავითაშვილი (VII-VIII) ადგილი — ქულა არ მიუღია.

### ტასს კვარცხლბეკი

**სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა. კლასიკური ჭიდაობა. მინსკი. 20-25 ივლისი.**

**48 კგ.** 1. ი. სამტაევი (რსფსრ), 2. გ. აბდულაევი (უზბეკეთი), 3. გ. ავაგიანი (სომხეთი).

**52 კგ.** 1. ა. იგნატენკო, 2. ი. ტოკარევი (ორივე — რსფსრ), 3. ა. მანუკიანი (სომხეთი).

**57 კგ.** 1. ს. ბულანოვი (რსფსრ), 2. ე. ავაქიანი (აზერბაიჯანი), 3. ა. მოვსესიანი (ლენინგრადი).

**62 კგ.** 1. კ. მუსაევი (რსფსრ), 2. ვ. სვირიდოვი (მოსკოვი), 3. რ. მამედოვი (აზერბაიჯანი).

**68 კგ.** 1. მ. ელიზარიევი (რსფსრ), 2. ვ. მამიაშვილი (მოსკოვი), 3. ვ. კოპიტოვი (ბელორუსია).

**74 კგ.** 1. ა. კონდრაცკი (უკრაინა), 2. დ. ტურლიხანოვი, 3. ბ. დეციევი (ორივე — ყაზახეთი).

**82 კგ.** 1. ა. სავინკინი, 2. ვ. პანკოვი (ორივე — მოსკოვი), 3. ს. ნასევიჩი (რსფსრ).

**90 კგ.** 1. ვ. ბოგუცკი, 2. ვ. გრიდიუშკო (ორივე — ბელორუსია), 3. რ. ბიკმურზინი (რსფსრ).

**100 კგ.** 1. ა. ფედორენკო (ბელორუსია), 2. ი. ჩერეპივსკი (უკრაინა), 3. ს. ფედოროვი (ესტონეთი).

**130 კგ.** 1. ა. კარელიანი (რსფსრ), **2. ვ. ქარსელაძე (საქართველო)**, 3. მ. ტკაჩუკი (უკრაინა).

**გუნდური ადგილები.** 1. რსფსრ, 2. ბელორუსია, 3. მოსკოვი, 4. უკრაინა, 5. სომხეთი, 6. ყაზახეთი, 7. საქართველო, 8. აზერბაიჯანი, 9. უზბეკეთი, 10. ესტონეთი, 11. ლენინგრადი, 12. მოლდავეთი, 13. ყირგიზეთი, 14. თურქმენეთი, 15. ტაჯიკეთი, 16. ლიტვა, 17. ლატვია.

## ხელბურთელები ფინალში გავიდნენ

**კიევი.** ხელბურთელ ვაჟთა სასპარტაკიადო ტურნირზე გამგზავრების წინ საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გიორგი ბერიაშვილმა სწორად შეაფასა მომავალი მეტოქეების შესაძლებლობანი. ჩვენი გუნდი პირველ შესარჩევ ჯგუფში ყირგიზეთის, უკრაინისა და თურქმენეთის კოლექტივებს უნდა შეხვედროდა. ამათგან, ცხადია, ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე უკრაინის ნაკრები იყო, რომლის შემადგენლობაში უმაღლესი ლიგის ბევრი წამყვანი მოთამაშე გამოდიოდა. მაგრამ ფინალში გასასვლელად დანარჩენ ორ მეტოქესთანაც სერიოზული ბრძოლა იყო საჭირო.

საქმე ისაა, რომ დებულების თანახმად წლევანდელ სასპარტაკიადო ტურნირში მონაწილეობის უფლება 1966 წელს და მომდევნო წლებში დაბადებულ სპორტსმენებს ეძლევათ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნაკრები თბილისის „ბურევესტნიკის" წამყვანი და გამოცდილი მოთამაშეების გარეშე იასპარეზებდა. მწვრთნელს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, როცა ყველა წინასწარ შეხვედრაში დაძაბულ ბრძოლას გვპირდებოდა.

პირველი ბრძოლა საქართველოს ნაკრებმა, როგორც ცნობილია, ყირგიზეთის გუნდთან მოიგო (28:20). მეორე შეხვედრა მას უკრაინის საკმაოდ ძლიერ კოლექტივთან ჰქონდა. ქართველმა ხელბურთელებმა შეხვედრის პირველი ნახევარი კარგად ჩაატარეს და მოიგეს კიდეც — 9:7. მაგრამ შემდგომში თავი იჩინა გამოუცდელობამ. უკრაინელმა ხელბურთელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვეს — 22:15.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მესამე კალენდარული დღის მატჩს საქართველოსა და თურქმენეთის გუნდებს შორის. მაგრამ ბრძოლა ამჯერად დაძაბული არ გამოდგა, საქართველოს ხელბურთელებმა, რომლებიც მთელი თამაშის მანძილზე ფლობდნენ ინიციატივას, შედარებით ადვილად გაიმარჯვეს —36:19.

ამრიგად, პირველი ბარიერი წარმატებით იქნა დაძლეული. საქართველოს ხელბურთელებმა სხვა შვიდ უძლიერეს კოლექტივთან ერთად ფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს.

საკავშირო პირველობა რეგბიში

## „მშენებლის" პრობლემები და თანაბრად გაყოფილი ქულები



**26-27 ივლისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე რეგბიში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ქუთაისის „მშენებელმა" კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროის" უმასპინძლა.**

ამ ტურამდე მე-7 ადგილზე მყოფი ციმბირელი სპორტსმენები მხოლოდ 6 ქულით უსწრებდნენ მშენებლებს. თანაც ჩვენ გუნდს ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული, ასე რომ, ქუთაისელ რეგბისტებს დაწინაურების საშუალება მიეცათ. ბუნებრივია, წინა ორი საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უნდა ზრუნავდეს, მაგრამ... ის პრობლემები, რომელთა წინაშეც „მშენებელი" დგას, როგორც ჩანს ამ ეტაპზე უკეთესი შედეგის მიღწევის საშუალებას არ იძლევა. მწვრთნელების უპირველეს საზრუნავად კვლავ რჩება გუნდის დაკომპლექტების საკითხი. 6 წამყვანი რეგბისტის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის შემდეგ მწვრთნელები იძულებული გახდნენ კოლექტივში რამდენიმე ვეტერანი დაებრუნებინათ, რომელთაგან მხოლოდ ვ. შვანგირაძემ შეძლო ჩვეული სპორტული ფორმის დაბრუნება. ამას დაემატა ხშირი ტრავმები და... სამი ტურის წინ საკუთარ მოედანზე „ფილი"-სთან" ჩატარებულ მატჩში ერთბაშად 13 ძირითადი მოთამაშის შემცვლელის ძიება გახდა საჭირო. მიუხედავად ამისა, გუნდმა წინა ტურში მოსკოვში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელი „ლოკომოტივი" პირველ მატჩში დაამარცხა, განმეორებით შეხვედრაში კი მხოლოდ ბოლო წუთებში დათმო გამარჯვება.

რკინიგზელებთან კარგად ჩატარებულმა შეხვედრებმა იმედიანად განაწყო „მშენებლის" ქომაგები, მით უმეტეს, რომ მოედანზე კვლავ ვიხილეთ წამყვანი მოთამაშეები: ლიპარტელიანი, ლილუაშვილი, ნაჭყებია და სხვები.

მიუხედავად ძნელი, დაძაბული ორთაბრძოლისა, მასპინძლებმა პირველ შეხვედრაში დამაჯერებლად, ანგარიშით 9:3 (3:0) დაამარცხეს „ეტს"-ი გუნდი, რომელიც წლევანდელ სეზონში ფიზიკურად საუცხოოდაა მომზადებული და ლიდერებსაც არ უდებს ტოლს. ტრადიციულად ძლიერად ითამაშეს „მშენებლის" შერკინების ხაზის მოთამაშეებმა, რომლებმაც კრასნოიარსკელებს სწრაფი კონტრშეტევების განხორციელების საშუალება არ მისცეს. ანგარიში პირველ ტაიმში საჯარიმო დარტყმით გახსნა ლილუაშვილმა. მეორე ტაიმის დასაწყისში თავდამსხმელებმა კიდევ ერთხელ მოიგეს შერკინება და მარჯვენა ფრთაზე სწრაფად გათამაშებული ბურთი ნაჭყებიამ ციმბირელთა ჩათვლის მოედანზე დაამიწა, მანვე ზუსტად გამოიყენა რეალიზაციაც, სტუმრებმა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს სამი ქულის აღება.

განმეორებით შეხვედრაში მშენებელთა რიგებში იმის გამო, რო[...] დაშავებულები იყვნენ, კვლავ ვე[...] ითამაშეს ლიპარტელიანმა, ლილ[...] აშვილმა, ხამაშურიძემ, დეისაძ[...] და სხვებმა. მათი არყოფნა, პირვე[...] ყოვლისა, დაცვის ხაზის თამა[...] დაეტყო. პირველსავე წუთებ[...] „მშენებლის" მცველები შეცდნ[...] და სტუმართა გარე სამმეოთხედე[...] ლის კუპერმანის გარღვევა „ქალ[...] ქის" აღებით დამთავრდა (რეალი[...] ზაცია კიმანოვმა გამოიყენა). ორი[...] ოდე წუთის შემდეგ ანალოგიუ[...] ვითარებაში ისევე კუპერმანმა გა[...] არღვია დაცვის ხაზი და ისევ ოთ[...] ხი ქულა აიღო — 0:10.

პირველი ტაიმის მიწურულს მა[...] სპინძლები გამუდმებით უტევდნე[...] ჯერ ნაჭყებიამ გამოიყენა საჯარ[...] მო, შემდეგ სტუმართა ჩასათვლე[...] მოედანთან 5-მეტრიან ზონაში ზე[...] დიზედ სამჯერ დაინიშნა შერკ[...] ნება. ციმბირელმა რეგბისტებმა ს[...] მივეჯერ შეგნებულად დაარღვი[...] თამაშის წესი, რათა მეტოქეთა[...] ვის შეტევის საშუალება არ მი[...] ცათ და მსაჯმა წესის თანახმა[...] ტექნიკური „ჩათვლა" აღნიშნა — 7:10.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბ[...] როდავკამ დროპ-გოლი გაიტანა [...] კიდევ უფრო დააწინაურა თავი[...] გუნდი. დამარცხების საშიშროებ[...] წინაშე მდგარმა ქუთაისელმა რე[...] გბისტებმა კიდევ ერთხელ შეძლ[...] მობილიზება.. დერეფანში მოგებუ[...] ლი ბურთი ნახევარმცველებმა სწრა[...] ფად გაითამაშეს და სამმეოთხედე[...] ლებმა ზუსტად განავითარეს შე[...] ტევა. ეფექტურად გათამაშებულ[...] მარაო გაბიძაშვილმა და ნაჭყებია[...] ლელოს გატანითა და რეალიზა[...] ციით დააგვირგვინეს. ამის შემდე[...] ქუთაისელებმა კიდევ 5 ქულა აი[...] ღეს და „მშენებელი" დაწინაურ[...] — 16:13. სამწუხაროდ, მასპინძლე[...] ბმა ნაადრევად ირწმუნეს გამარ[...] ჯვება და ტემპს მკვეთრად უკლე[...] ამას ისიც დაემატა, რომ მატჩის არ[...] ბიტრმა ზურაბ რეხვიაშვილმა უხ[...] ში თამაშისთვის მოედნიდან სამ[...] რთლიანად გააძევა შამელაშვილ[...] ამან კიდევ უფრო შეასუსტა და[...] ვის ხაზი და კრასნოიარსკელებმა [...] წუთში 10 ქულა აიღეს, ქუთაის[...] ლებმა კი მხოლოდ ერთი საჯა[...] რიმოს გამოყენება შეძლეს და „მშ[...] ნებელი" დამარცხდა — 19:23.

ამ მატჩებში გუნდის ღირსებ[...] იცავდნენ: ობოლაძე, ტურძელა[...] უგრეხელიძე, ლიპარტელიანი, წ[...] წივაძე, ნაჭყებია, ვ. შვანგირაძ[...] გაბიძაშვილი, გრიგალავა, შავგუ[...] ლიძე, გიორგობიანი, შამელაშვილ[...] ზიბზიბაძე, დეისაძე, ძოწენიძე, ე[...] რქოლიანი, ჯიმშელეიშვილი, ჩი[...] ანი, ე. შვანგირაძე, ნემსიწვერიძ[...] ოდიშარია.

**თამაზ ხარაბაძე**
(„ლელოს" საკ. კორ.)

ქუთაისი.

• • •

სხვა შეხვედრები ასე დამთავრ[...] და: მოსკოვის „სლავა" — მოსკო[...] ვის „ფილი" 18:9, 10:8; სსა — კიევის „ავიატორი" 19:10, 13:[...] მოსკოვის „ლოკომოტივი" — ალმა[...] ათის ასკ 12:6, 6:13.

## სასპარტაკიადო ქრონიკა

**კაუნასი.** აქ ჩატარდა IX სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული წრიულ-საგზატკეცილო მოტორბოლა. 350 კბ. სმ კლასის მოტოციკლებში ჩემპიონის ოქროს მედალი ი. რაუდსიკმა მოიპოვა. 125-იანებში პირველი ადგილი ვ. კორობკოვმა (ლენინსკ-კუზნეცკი) დაისაკუთრა, 175-იანებში კი ესტონელმა ენ პუუმ (ვაჟებში) და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვ. ფესენკომ (ქალებში). გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. ესტონეთი, 2. რსფსრ, 3. ლატვია.

**ლენინგრადი.** ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი საპარაშუტო მრავალჭიდში გახდა რსფსრ-ს კოლექტივი. მეორე ადგილზე გავიდნენ მოსკოველები, მესამზე — ლიტვის წარმომადგენლები. პარაშუტით ხტომის გარდა მრავალჭიდელები ცურვაში, სროლაში და მძლეოსნურ კროსში ასპარეზობდნენ. პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის ოქროს მედალი ვ. ბოგომაზოვს (რსფსრ) გადაეცა. ქალთა შორის — უკრაინელ ნ. მანოილოს.

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგ[...] „სპორტლოტოს" მორიგი, 30-ე ტი[...] რაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** [...] (ბიატლონი), 11 (ფრენბურთი[...] 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 2[...] (მშვილდოსნობა), 41 (მაგიდის ჩოგ[...] ბურთი), 45 (შაში).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 1[...] (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილ[...] მურო სპორტი), 23 (თხილამურე[...] ბით ხტომები და ორჭიდი), 31 (ფ[...] რიკაობა), 36 (მხატვრული ტანვა[...] რჯიში).

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია.** 2[...] **ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში — **14.40 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: მატჩ-რევანში — **20.00 (1);** და **22.4[...] (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (კიევი) — **21.00 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 29 ივლისი.** მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში: მატჩ-რევანში — **20.00 და 22.40.**

**რედაქტორის მოადგილე**
**თ. ბაჩიჩილაძე.**

ინდექსი 66486. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07541